

ხელშეკრულება
უძრავი ქონების გადაცემის შესახებ

თბილისი

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, წარმოდგენილი გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სპეციალისტის დათო ბაინდურაშვილის (პირ. 25001003067) სახით (რომელიც მოქმედებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის # 2934-გ [23-10-2014] ბრძანების საფუძველზე), (თანხის გამკვეთი)

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, წარმოდგენილი დათო ბაინდურაშვილის (პირ. 25001003067) სახით (რომელიც მოქმედებს 2014 წლის 09 იანვრის #5/387 უფლებამოსილების შესაბამისად), შემდგომში "ქონების მიმღები", ერთის მხრივ,

და

იურიდიული პირი: შ.პ.ს. "კრწანისის პარკი" - (ს/კ 404470185) წარმოდგენილი მისი დირექტორის რატი ღვამბერიას (პ/ნ 35001047484) სახით, შემდგომში "მესაკუთრე", მეორეს მხრივ,

ვღებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. ამ ხელშეკრულების ძალით "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო "ქონების მიმღებმა" მიიღო სახელმწიფო საკუთრებაში: თბილისი-რუსთავის ავტობნის მშენებლობის მიზნებისათვის სოფელ ფონიქალის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, შემდგომში - "გადასაცემი ქონება".
- 1.2. გადაცემის ადგილად ითვლება თბილისი.

მუხლი 2 გადასაცემი ქონება

2.1. ხელშეკრულებით გადასაცემი ქონება წარმოადგენს "მესაკუთრის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენს 19544 მ².

2.1.1. გადასაცემი ქონების მახასიათებლებია:

- სარეგისტრაციო ზონა--81
- სექტორი ფონიქალა--05
- კვარტალი --13
- ნაკვეთი-- 548
- მისამართი: სოფელი ფონიქალა
- ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო
- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

გადასაცემი ქონება "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო "ქონების მიმღებმა" მიიღო მიწის ნაკვეთი, გადასაცემი თანხა ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 32 802 (ოცდათორმეტიათასრვაასობრი) ლარს,

სამარ
საქარ
მარტ
ს.ს.პ.

2.1.2 გადასაცემი ქონების მახასიათებლებია:

-სარეგისტრაციო ზონა--81

-სექტორი ფონიჭალა--05

-კვარტალი--13

-ნაკვეთი--547

-მისამართი: სოფელი ფონიჭალა

-ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო

-ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

გადასაცემი ქონება "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო "ქონების მიმღებმა" მიიღო მიწის ნაკვეთი

გასაცემი თანხა ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 54 262 (ორმოცდათოთხმეტიათასორასსამოცდაორი) ლარს.

2.1.3 გადასაცემი ქონების მახასიათებლებია:

-სარეგისტრაციო ზონა--81

-სექტორი ფონიჭალა--05

-კვარტალი--13

-ნაკვეთი--546

-მისამართი: სოფელი ფონიჭალა

-ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო

-ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

გადასაცემი ქონება "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო "ქონების მიმღებმა" მიიღო მიწის ნაკვეთი

გასაცემი თანხა ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს - 39 626 (ოცდაცხრამეტი ათასექვსასოცდაექვსი) ლარს.

2.1.4 გადასაცემი ქონების მახასიათებლებია:

-სარეგისტრაციო ზონა--81

-სექტორი ფონიჭალა--05

-კვარტალი--13

-ნაკვეთი--544

-მისამართი: სოფელი ფონიჭალა


-ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო

-ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

გადასაცემი ქონება "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო "ქონების მიმღებმა" მიიღო მიწის ნაკვეთი

გასაცემი თანხა ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 793 088

(შვიდასოთხმოცდაცხრამეტი ათასოთხმოცდარვა) ლარს.



მუხლი 3 ჩასარიცხი თანხა და ანგარიშსწორების წესი

3.1. გადასაცემი ქონება "მესაკუთრემ" გადასცა, ხოლო ქონების მიმღებმა "მიიღო მიწის ნაკვეთი სულ ჩასარიცხი თანხა ყველა გადასახადის ჩათვლით - 919 778 (ცხრაას ოცხუთას შვიდასსამოცდათვრამეტე) ლარი.

3.2. გადასაცემი ქონებისთვის განკუთვნილი თანხა დადგენილია აზიის განვითარების ბანკთან და საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებული (SUTIP პროგრამით) განსახლების სამოქმედო გეგმით.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას მესაკუთრეს გადაუხდის საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი გამცემი. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ამ ხელშეკრულებაში ქვემოთ მითითებულ "მესაკუთრის" საბანკო რეკვიზიტებზე.

3.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად საკუთრების უფლების მიღების სანაცვლოდ, გამცემი თანხა სრული და საბოლოო ანაზღაურების სახით მოიცავს მიწის ნაკვეთის ღირებულებას. შესაბამისად, არც მიწის მესაკუთრეს და არც ნებისმიერ სხვა პირს არ ექნება უფლება მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ან დამატებითი ანაზღაურება წინამდებარე საკუთრების უფლების მიღების სანაცვლოდ.

3.5. გადასაცემი ქონება, მხარეთა განცხადებით, ქონების მიმღებს გადაეცემა ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. გადასაცემი ქონების უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლობის შესახებ

4.1. გადასაცემი ქონების საკუთრების უფლებით ეკუთვნის მესაკუთრეს, რაც შემოწმებულია და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტებით:

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 81.05.13.548; 81.05.13.547; 81.05.13.546; 81.05.13.544;

4.2. მესაკუთრის განცხადებით, გადასაცემი ქონება არ არის სადავო, აგრეთვე მესაკუთრე ადასტურებს, რომ გადასაცემი ქონება არ არის უფლებრივად დატვირთული და მესამე პირებს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია აქონდეთ მის მიმართ.

4.3. გადასაცემი ქონების ნაკლი მხედველობაში არ მიიღება, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრემ წინასწარ განუმარტა ქონების მიმღებს აღნიშნულის თაობაზე.

4.4. გადასაცემი ქონების ნაკლის თაობაზე ქონების მიმღები უფლებამოსილია მესაკუთრეს წარუდგინოს საპრეტენზიო წერილი ნაკლის გამოვლენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.5. საპრეტენზიო წერილში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რის თაობაზეა იგი წარდგენილი და რას ითხოვს მყიდველი.

4.6. მესაკუთრე ვალდებულია საპრეტენზიო წერილის მიღების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში განიხილოს იგი; თუ ამ ვადაში მესაკუთრე არ წარუდგენს ქონების მიმღებს საპირისპირო არგუმენტებს, მისი გასვლის შემდეგ პრეტენზია მესაკუთრის მიერ მიღებულად ჩაითვლება.

4.7. მესაკუთრეს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით მოიწვიოს ან/და მოავლინოს ექსპერტები საკითხის შესასწავლად.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე მიიღებს პრეტენზიას, იგი ვალდებულია უკან დაუბრუნოს ქონების მიმღების მის მიერ ამ ხელშეკრულების თანახმად გადახდილი თანხა და აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

სტამბის
პირის
ანი № 52

მუხლი 5. სხვა პირობები

- 5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის, საჯარო რეესტრში მისი დამოწმებისა და რეგისტრაციის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
- 5.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირებს გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვა პირი არის მხარის უფლებამოსილი თანამშრომელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი
- 5.3. ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებას და დამატებას იურიდიული ძალა გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი სახით.
- 5.4. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.5. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი სადავო საკითხები მათ შორის ხელშეკრულებით უარის თქმა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, და მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში - სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ფორსმაჟორი

- 6.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებისათვის, თუ ეს შესრულება გემოწვეულია სტიქიური და ტექნოლოგიური კატასტროფებით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, სამთავრობა გადაწყვეტილებებითა და სოციალური აფეთქებებით და ეს მოვლენები დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.
- 6.2. თუ ჩამოთვლილი გარემოებიდან უშუალოდ რომელიმე მოქმედებს მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულები ვადაზე, ეს ვადა გაგრძელდება დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.
- 6.3. მხარე, რომელსაც წამოეჭრა დაუძლეველი ძალის გარემოება, ვალდებულია ასეთი გარემოების, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და შეწყვეტის შესახებ შეატყობინოს წერილობით მეორე მხარეს.
- 6.4. შეტყობინებაში ასახული ფაქტები დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი რეგიონის სავაჭრო, სამრეწველო პალატისა, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 6.5. შეტყობინება ან დაგვიანებით შეტყობინება უფლებას ართმევს მხარეს გამოიყენოს ზემოთ მოცემული დაუძლეველი ძალის მოვლენები პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების საფუძველად.
- 6.6. თუ გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მესაკუთრის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, თვითმეტს გაგრძელდება, ქონების მიმღებს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას ხელშეკრულებაზე - ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის, აგრეთვე მესაკუთრისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 7.

- 7.1. ხელშეკრულების დედანი ინახება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში.

ამინისტი
სახაბუ
70

მუხლი 8

შესაკუთრე: იურიდიული პირი: შ.პ.ს. „კრწანისის კარკი“ - (ს.კ. 404470185) წარმოდგენილი მისი დირექტორის
რეტი ღვაბუერიას (პ/ნ 35001047484) სახით

საბანკო კოდი: REPLGE22

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE05 BR00 0001 0492 9997 73

რეტი ღვაბუერია

ხელმოწერა

თანხის გამგეში: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მის. საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის 150, საიდ. კოდი # 206074193. საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი-BAGAGE,
ანგარიშის # GE 17136000000264040906.

ხელმოწერა

რეტი ღვაბუერია დ. ბაინდურაშვილი

ქონების მიმღები: სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ხელმოწერა

რეტი ღვაბუერია დ. ბაინდურაშვილი

საპარტოვალო ინსტიტუტის სამინისტრო
საქართველოს რეზერვის პარკული სააგენტო
შტაბი № 523
თბილისი 22-ე რაიონი
საქართველო

ს. ბი